ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

| 1932 წლის სექტემბრის 1 | № 21 განყოფილების პირველი | ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა. |
|---|---|---|

## შინაარსი:

**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

მუხ. 162. „სსრკ-ის საქალაქო მეურნეობის თაობაზე“ გამოტანილ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა აღსრულების კვალობაზე კომუნალურ-საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის შესახებ.

163. ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და სარაიონო ორგანოების მიერ საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გაშლის ღონისძიებათა შესახებ.

164. ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების საქმის მდგომარეობის შესახებ.

**დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

165. ა/კსფსრ კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის მომარაგების ამიერკავკასიის ორგანოს (ა/კ. „კომუნმარაგი“) მოწყობის შესახებ.

166. სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზმიასო“-ს ამიერკავკასიის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.

167. „ა/კსფსრ-ში 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილების მე-2 მუხლის იმ ნაწილისა, რომელიც თხისა და ცხვრის შემოსავლიანობის განსაზღვრას ეხება, და მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტისა და ამ პუნქტის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

168. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების შეცვლის შესახებ.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

**162.** **„სსრ-კის საქალაქო მეურნეობის თაობაზე“ გამოტანილ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა აღსრულების კვალობაზე კომუნალურ-საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის შესახებ.**

მოისმინა და განიხილა-რა ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის ამხ. ღლონტის მოხსენება და ბაქოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენებანი—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა აღსრულების კვალობაზე კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს თვალსაჩინო მიღწევებს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და ბაქოს, ტფილისის და ერივანის საქალაქო საბჭოების მუშაობაში საქალაქო კომუნალური მეურნეობის შესახებ გამოტანილ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა აღსრულების საქმეში. ეს მიღწევები შემდეგია:

ა) კომუნალურ და საბინაო მშენებლობაში კაპიტალ-დაბანდებათა ზრდა 78.000.000 მან-დე 1931 წელს და 123.000.000 მან-დე 1932 წელს; შესაბამისად გაიზარდა კაპიტალ-დაბანდებანი ა/კსფსრ დედა-ქალაქებისა და სხვა მნიშვნელოვანი ქალაქების ხაზით: ბაქოში—119,6%-ით—1931 წელთან შედარებით, ტფილისში—68%-ით და ერივანში—60%-ით და სხვ.;

ბ) ამასთან ერთად გაიზარდა დაბანდებანი საბინაო მშენებლობაში 1932 წელს: ბაქოში—23.000.000 მან., ტფილისში—10.500.000 მან. და ერივანში—4.500.000 მან.;

გ) აგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის გაშლა (44 დამხმარე საწარმოს მშენებლობა 6.800.000 მან. თანხისა);

დ) ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სფეროში დიდრონ სამუშაოთა განხორციელება: გაზოფიკაცია ბაქოში, ნატახტარის წყალსადენი ტფილისში, ერივანის წყალსადენი და ერივანის ტრამვაი;

ე) თვალსაჩინო სამუშაოების გაშლა საგზაო მშენებლობისათვის (დაასფალტება) და ქ. ბაქოს მწვანე ნარგავებით შემოსვა;

ვ) კომუნალური მშენებლობის დაკრედიტების გაძლიერება და თვითდამზადებათა ორგანიზაცია ცენტრალური კომუნალური ბანკის ხაზით, რამაც 1932 წელს მიაღწია 8.000.000 მანეთამდე;

ზ) ა/კსფსრ მთავარ ქალაქებში საქალაქო კომუნალური მეურნეობის ძირითად საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა.

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ ა/კსფსრ კომუნალური და საბინაო მშენებლო-

ბაში შემჩნეულ წარმატებებთან და მუშაობის ტემპებსა და გაშლაში მომხდარ გარდატეხასთან ერთად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლოვანებათა, რაც ძირითადად შემდეგია:

1. სამშენებლო პროგრამის არადამაკმაყოფილებლად გამოყენება:

ა) ა/კსფსრ საბინაო მშენებლობა—59,5% 1931 წელს და 49% 1932 წლის საკვარტალო გეგმისა;

ბ) კომუნალური მშენებლობა: 68,9% 1931 წელს და 58,7% 1932 წლის კვარტალური გეგმისა.

2. ტრამვაის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა 1932 წლის 1-ლ კვარტალში (ბაქო, ტფილისი).

3. კომუნალურ-საბინაო მშენებლობის მეტის-მეტად ნელი ტემპები 1932 წლამდე ტფილისში—(სახლები, აბანოები, კლუბები), რის გამოც 1932 წლის მშენებლობა ხასიათდება გარდამავალი ობიექტების თვალსაჩინო რაოდენობით.

კომუნალურ-საბინაო მშენებლობის 1932 წლის გეგმის წარმატებით შესრულებასათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს, ბაქოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და ერივანის საბჭოს—იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს მშენებლობის დაჩქარებას და 1932 წელს კომუნალური და საბინაო მშენებლობისათვის გადადებული ასიგნების სავსებით გამოყენებას.

ამისდაშესაბამისად გაშლილ უნდა იქნეს მუშაობა საქალაქო მეურნეობის ნამდვილად გადაკეთების მიზნით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ საქალაქო მეურნეობის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესაფერისად და ამხ. სტალინის 6 პირობის მიხედვით, რისთვისაც უნდა მოხდეს მუშათა მასსების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია კომუნალური და საბინაო მშენებლობის და ქალაქების სანიტარულად კეთილმოწყობის გაძლიერებისათვის საბრძოლველად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის გეგმის დადგენილ ვადებზე შესრულებას შინაგანი რესსურსების მაქსიმალური მობილიზაციის გარშემო მუშათა მასსების აქტიობის შემოკრების საფუძველზე.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—იხმარონ ღონისძიებანი რესპუბლიკებში კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად, რისთვისაც წინადადება მიეცეს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს—1933 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის დროს გაითვალისწინოს სათანადო საბიუჯეტო ასიგნები სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული კომუნალური ორგანოების შესანახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ბაქოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და ერივანის საბჭოს—ფართოდ გაშალონ საქალაქო მეურნეობის საკითხების გარშემო მასსური ორგანიზაციების—სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების—მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომუნალური სექციების მუშაობის შემდგომ გაშლას, მათ მუშაობაში საბჭოს წევრებისა და საბჭოთა აქტივის ფართოდ ჩაბმას, კომუნალური სექციებისათვის სისტემატიური ხელმძღვანელობის გაძლიერებას და მათ და კომუნალურ ორგანოებს შორის სათანადო სისტემატიური ურთიერთობის დამყარებას; გააუმჯობესონ სრულყოფამდე და განამტკიცონ საქალაქო საბჭოების პრაქტიკა საკონტროლო პოსტების მოსაწყობად (დეპუტატებისა და სექციების წევრების მიმაგრება საბინაო-კომუნალური მეურნეობის მშენებლობის ცალკეულ ობიექტებზე); ეცადნენ, რომ ზემოაღნიშნულ საქალაქო საბჭოებში განხორციელებულ იქნეს საბჭოების საჩვენებელი საორგანიზაციო-მასსური მუშაობა საქალაქო მეურნეობის საკითხების გარშემო.

ამისდაშესაბამისად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი დახმარების გასაწევად ამა დადგენილების რეალიზაციის საქმეში და თავის დროზე ბაქოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და ერივანის საბჭოს საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გამოცდილების ა/კსფსრ სხვა საქალაქო საბჭოებისათვის გადასაცემად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალაო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და საქალაქო საბჭოებს—იხმარონ ღონისძიებანი:

ა) მუშა-ძალის ორგანიზაციულად მოგროვებისათვის საქალაქო მეურნეობის საწარმოსა და მშენებლობაზე და თვითმდინარეობისა და მუშა-ძალის დენადობის ლიკვიდაციისათვის—მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებით (სასადილოების მოწყობა და გაუმჯობესება, სადილების თვისების გაუმჯობესება, ბინებისა, კოოპარატიული მაღაზიებისა, ფარდულების და სხვა მისთ. მოწყობა და სხვ.);

ბ) ყველა კომუნალური საწარმოს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ საქალაქო საბჭოებს—კომუნალურ-საბინაო მშენებლობის გეგმების განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრან მშენებლობის თვისების გაუმჯობესებას და მაქსიმალურ გაიაფებას.

6. მიენდოს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—გააფართოოს საშენი მასალის და გაწყობილობის წარმოება ა/კსფსრ საქალაქო კრმუნალური მეურნეობის საჭიროებისათვის, რისთვისაც ორი დეკადის ვადაზე შეადგინოს გეგმა და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გაუწიონ საქალაქო საბჭოებს მაქსიმალური დახმარება კომუნალურ-საბინაო მშენებლობის გეგმის განხორ-

ციელების საქმეში შემდეგი ძირითადი ობიექტების ხაზით: წყალსადენი, გაზოფიკაცია და საბინაო მშენებლობა—ბაქოში, ნატახტარის წყალსადენი, ვოკზალის ხიდი, კულტურის და დასვენების პარკი და საბინაო მშენებლობა—ტფილისში, ტრამვაი, წყალსადენი და საბინაო მშენებლობა ერივანში.

ამასთან ერთად და საბინაო მშენებლობისათვის დადგენილი პროგრამის შესაბამისად წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ ბაქოს საბჭოს, ტფილისის საბჭოს და ერივანის საბჭოს—ფართოდ გაშალონ მუშაობა ძველი საბინაო ფონდის შინაგანი და გარეგანი რემონტისათვის, და აგრეთვე უზრუნველჰყონ საბინაო-საიჯარო კოოპერაციის ორგანოების მხრით პასუხისმგებლობის გაძლიერება იჯარით აღებული ფონდის წესიერი ექსპლოატაციისათვის.

8. რადგანაც სააბანო-სამრეცხველო მეურნეობა მუშაობის მხრით ჩამორჩენილი ნაწილია კომუნალური მეურნეობის სისტემაში, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და ამიერკავკასიის ყველა საქალაქო საბჭოს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მეურნეობის ამ დარგს, კერძოდ—დაამთავრონ დადგენილ ვადებზე აბანოებისა, სამრეცხველოებისა, სადუშეებისა და სხვა მისთ. მშენებლობა და 1933 წლის გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინონ სათანადო ასსიგნები ახალი მშენებლობისა და სააბანო-სამრეცხველო მეურნეობის რემონტისათვის.

9. მოწონებულ იქნეს ბაქოს საბჭოს ინიციატივა ქ. ტფილისის საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანისა ქუჩების დაასფალტების ხაზით და წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გაუწიოს ნამდვილი დახმარება ტფილისისა და ერივანის საქალაქო საბჭოებს საგზაო-საქვაფენილო მშენებლობის დასახული გეგმების რაც შეიძლება უკეთესად განხორციელების საქმეში; ამასთანავე, ქუჩების ქვით მოფენა პირველყოვლისა განხორციელებულ უნდა იქნეს შუშათა რაიონებში. შემუშავებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ა/კსფსრ ყველა ქალაქმა ფართოდ გამოიყენოს ა/კსფსრ დედა-ქალაქების ტეხნიკური მიღწევანი კეთილმოწყობის სფეროში.

10. წინადადება მიეცეს ტფილისისა და ბაქოს საქალაქო საბჭოებს—იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ტრამვაის მუშაობის გაუმჯობესებისათვის; განსაკუთრებით მიაქციონ ყურადღება სამრეწველო-საფინანსო გეგმის რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების სავსებით შესრულებას—გზების გაფართოებას, ტრამვაის გამოყენებას ტვირთის გადასაზიდად, სავაგონო-სარემონტო სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესებას და სხვა მისთ.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—დაიწყოს და პრაქტიკულად განახორციელოს დადგენილ ვადებზე ა/კსფსრ ქალაქების დაგეგმვა და გადაგეგმვა და პირველყოვლისა ბაქოსი, ტფილისისა და ერივანისა; აგრეთვე დახმარება გაუწიოს ა/კსფსრ ქალაქებს—ქალა-

ქების განვითარების საპერსპექტივო გეგმის შემუშავების საქმეში (ნუხა, ცხინვალი და სხვ.).

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ბაქოს, ტფილისის და ერივანის საბჭოებს—დააჩქარონ ადგილობრივი საშენი მასალის წარმოება და დამზადება ა/კსფსრ კომუნალური და საბინაო მშენებლობის ადგილობრივი საშენი მასალით სრულად უზრუნველყოფისათვის.

13. ეთხოვოს სსრკ ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—წინადადება მისცეს კომუნალური მეურნეობის სრულიად საკავშირო საბჭოს—გააძლიეროს ა/კსფსრ კომუნალურ-საბინაო მშენებლობის იმ საშენი მასალით მომარაგება, რომლის შეცვლაც ადგილობრივი მასალით შეუძლებელია და რომლის მიუღებლობაც აყოვნებს და აძვირებს მშენებლობას.

14. რადგანაც აუცილებლად საჭიროა კომუნალური უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის შექმნა ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, წინადადება მიეცეს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ა/კ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად, დაიმუშაოს ეს საკითხი, ხოლო ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს—1933 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს გაითვალისწინოს საჭირო ასსიგნები კომუნალური უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის მოსაწყობად.

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და სათანადო სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი მშენებლობის საკონიუნქტურო მიმოხილვების თავის დროზე შედგენის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატისტიკო განყოფილებანი გააძლიერონ სათანადო მომუშავეებით.

16. წინადადება მიეცეს ყველა იმ გაზეთის და ჟურნალის რედაქციას, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოდის, აგრეთვე რადიოს—ფართოდ და რეგულიარულად გააშუქონ საქალაქო მეურნეობისა, სამრეწველო-საფინანსო გეგმების აღსრულებისა, კაპიტალ-დაბანდებათა გამოყენებისა, კომუნალურ მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის შთანერგვისა და სხვა მისთ. საკითხები.

17. მიენდოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ნაციონალურ ენებზე ფართო მასსებისათვის ხელმისაწვდენი მთელი რიგი პოპულარული ბროშურები კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის საკითხების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივლისის 25.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

**163. ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და სარაიონო ორგანოების მიერ საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გაშლის ღონისძიებათა შესახებ.**

მუდმივი მასსური საბჭოთა ორგანიზაციების როლის გასაძლიერებლად სარაიონო და რესპუბლიკანური ორგანოების საქმიანობაში, კავშირისა და სწორე ურთიერთობის დასამყარებლად სახელმწიფო აპარატის ყველა ოპერატიულ რგოლეულს შორის რესპუბლიკანურ და რაიონულ ცენტრებში და მასსურ საბჭოთა ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ერთიანობისა და შეთანხმებულობის დასამყარებლად იმ რესპუბლიკანური საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატის მუშაობაში, რომელიც ანხორციელებს საორგანიზაციო-მასსური მუშაობის ხელმძღვანელობას,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მასსური მუშაობის გაშლის საქმეში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელი, ორგანიზატორული და მგეგმავი როლის მაქსიმალურად გაძლიერებასთან ერთად—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დააკისრონ პასუხისმგებლობა საბჭოების სექციათა მუშაობის მოწყობისა და გაშლისათვის აგრეთვე რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს და მათ ფილიალებს ადგილებზე.

2. დაევალოს რესპუბლიკანურ დაწესებულებათა ხელმძღვანელთ: თავიანთი სარაიონო აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში—ამ აპარატისათვის სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების დაკისრებასთან ერთად—განსაზღვრონ აგრეთვე დავალებანი საბჭოების სექციებისათვისაც და ამით სექციების მუშაობის შინაარსი შეავსონ კონკრეტობისა და ოპერატიობის ელემენტებით; ამრიგად საბჭოების სექციები გადააქციონ საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტების უაღრესი მნიშვნელობის მქონე მასსურ ორგანოებად სხვადასხვა სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარების დროს როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

საორგანიზაციო მასსური მუშაობის ღონისძიებანი უნდა აისახოს ფედერატიული და რესპუბლიკანური აპარატების მუშაობის საერთო გეგმებში.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ სახალხო კომისარიატებისა და სარაიონო ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, მათი პერსონალური პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ მათთან მიმაგრებული სექციების სპეციალური დებულებებისა და მუშაობის ოპერატიული გეგმების ორი დეკადის ვადაზე დამუშავება—ცალკე სასოფლო საბჭოებისა და ცალკე საქა-

ლაქო საბჭოებისათვის და დასახონ მასსური მუშაობის განვითარების ახალი ფორმები—ამ სამუშაოების აღსრულების საკალენდრო ვადების განსაზღვრით.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—გარდაქმნან რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების საინსტრუქტორო-საგამოკვლევო მუშაობა ისეთი მიმართულებით, რაც უზრუნველჰყოფს:

ა) საბჭოების სათანადო სექციების აუცილებელ აქტიურ მონაწილეობას სარაიონო აპარატის მუშაობის შემოწმებაში;

ბ) სექციების პრაქტიკული მუშაობის გაცნობას და ადგილებზე მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევას;

გ) მომუშავეების სპეციალურად გაგზავნას ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების დასახმარად სექციებისა და სხვა მასსური ორგანიზაციებისათვის ინსტრუქტირების მოსაწყობად;

დ) სექციებისა და სხვა მასსური ორგანიზაციების (დეპუტატთა ჯგუფები, კონფერენციები, თავმოყრა და სხვ.) ხელსაყრელი გამოცდილების შესწავლას და აღნუსხვას—მუშაობის საუკეთესო მაგალითების სხვა თანამოსახელე სექციებში გადასატანად.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატების და ორგანიზაციების მუშაობაში ფართოდ განვითარდეს პრაქტიკის სახით:

ა) საბჭოების ცალკეული სადარგო სექციების სარაიონთაშორისო, რესპუბლიკანური და საამიერკავკასიო თავმოყრის და კონფერენციების მოწვევა;

ბ) ა/კსფსრ-ისა და ნაციონალური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში და სახალხო კომისარიატებში, სარაიონო და საქალაქო დაწესებულებებში და სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებში მოხსენების დროს საქალაქო საბჭოების სათანადო სექციების გამოწვევა;

გ) რესპუბლიკანურ და ამიერკავკასიის საუწყებო ყრილობებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად საბჭოების სათანადო სექციების წარმომადგენელთა გამოწვევა;

დ) საუწყებო ინფორმაციაში ფართოდ გაშუქება აპარატის კავშირისა სექციებთან და სექციების მონაწილეობისა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ რესპუბლიკანურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს—გამოჰყონ ორი დეკადის ვადაზე, აპარატის ხელმძღვანელ მომუშავეთა რიცხვის მიხედვით, პასუხმგებელი აღმასრულებელნი მასსური მუშაობის ხაზით.

7. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—უზრუველჰყოს ინსტრუქტირების გაწევა ამ აღმასრულებელთათვის და პერიოდული შემოწმება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა დადგენილებაში მიღებულ გადაწყვეტი-

ლებათა და აგრეთვე რესპუბლიკანური ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა აღსრულებისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ივლისის 27.
ტფილისი.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

**164. ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების საქმის მდგომარეობის შესახებ.**

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა და ბაქოს, ტფილისის და ერივანის საქალაქო საბჭოების მოხსენებანი ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების საქმის მდგომარეობის შესახებ, ამივრკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში—ტფილისსა, ბაქოს და ერივანში—ამ უკანასკნელ თვეს ეტყობა გარდატეხა: მოწყობილია 18 საბჭოთა ბაზარი; აქედან სამი—საფაბრიკო-საქარხნო რაიონებში; საქალაქო ბაზრებში საკოლმეურნეო შენაერთებმა გახსნეს 76 ფარდული, კოლექტიურმა მეურნეობებმა—57. საკოლმეურნეო ბაზრები მოწყობილია აგრეთვე ცალკეულ ფაბრიკებსა და ქარხნებთან. კოლექტიურმა მეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და ინდივიდუალურმა მშრომელმა გლეხებმა გასულ თვეში გაასაღეს ქალ. ტფილისისა, ბაქოს და ერივანის საბჭოთა ბაზრებში ოთხ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ამ მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი, რომელნიც შემდეგია:

ა) იმის გამო, რომ აღსნა-განმარტებითი მუშაობა არა საკმარისად იქნა ჩატარებული, სამრეწველო ცენტრების საკოლმეურნეო ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ ჯერ მარტოოდენ მოწინავე კოლმეურნეობანი, კოლმეურნენი და ინდივიდუალური მშრომელი გლეხნი; ხოლო მათი ძირითადი მასსა ჯერ კიდევ ჩაბმული არ არის ვაჭრობაში და მილმეული საკოლმეურნეო პროდუქცია სუსტად არის ხელშეხებული;

ბ) არა სწარმოებს ორგანიზებული ბრძოლა ფასების შემცირებისათვის; ჩარჩები და სპეკულანტები ქ. ბაქოს, ტფილისისა და ერივანის ბაზრებზე ჯერ

კიდევ თვალსაჩინო როლს თამაშობენ და მათ წინააღმდეგ ყველგან როდი სწარმოებს მკვეთრი და გადამწყვეტი ბრძოლა;

გ) მეტის-მეტად არა დამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი როგორც შემხვედრი ვაჭრობა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მიერ, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობა კოოპერაციისა და კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენაერთების მიერ;

დ) არა სწარმოებს ბრძოლა იმ დამმზადებლების წინააღმდეგ, რომლებიც, მიღმეულ პუნქტებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გეგმიანი დამზადების ნაცვლად, ეწევიან „თვითდამზადებას“ სამრეწველო ცენტრების ბაზრებზე;

ე) ტფილისის, ბაქოს და ერივანის საქალაქო საბჭოები ძველი ბაზრების რეკონსტრუქციის და ახალი ბაზრების მშენებლობის საქმეში იჩენენ მოუქნელობას და სიმძიმეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ეს თვალსაჩინო ნაკლოვანებანი, რაც აბრკოლებს საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას, აიხსნება საბჭოთა ორგანიზაციების არასაკმარისი აქტიობით საბჭოთა და საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის ყოველდღიური ბრძოლის წარმოების საქმეში.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ქ. ბაქოს, ტფილისისა და ერივანის საქალაქო საბჭოებს:

ა) შეიტანონ კომუნალური მშენებლობის 1932 წ. მე-III და IV კვარტალების გეგმებში ახალი ბაზრების მშენებლობა და ყველა ძველი ბაზრის რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი; გაითვალისწინონ სპეციალური ბოსტნეულ-საცავების აშენება;

ბ) უზრუნველჰყონ ერთი თვის ვადაზე კულტურული და ჰიგიენური პირობების მინიმუმის განხორციელება საქალაქო ბაზრებში წარმოებული ვაჭრობისათვის (ბაზრების დაასფალტება, გადარეცხვა, წყალსადენი, საპირფარეშოები, კულტურული საჩაიები, სასადილოები, სამედიცინო და სავეტერინარო პუნქტები, ბაკები, კოლმეურნეთა სახლები, ადგილები საქონლისათვის და სხვ.);

გ) აწარმოონ, მილიციისა და საფინანსო ინსპექციის ორგანოების მეშვეობით და მუშათა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, შეუსუსტებელი და სისტემატიური ბრძოლა ჩარჩებთან და სპეკულანტებთან, მოაწყონ მუდმივი მეთვალყურეობა ბაზრებისათვის და პასუხისგებაში აძლიონ სისხლის სამართლის წესით განსაკუთრებით ბოროტეული სპეკულანტები და ჩარჩები;

დ) შექმნან თავიანთი სამომმარაგებლო ორგანოების აპარატში სპეციალური საკონიუნქტურო უჯრედები, რომელთაც დააკისრონ ცნობების სისტემატიური მოგროვება ვაჭრობის შესახებ და საბჭოთა ბაზრებში ფასებისა და საქონლის ბრუნვის შესწავლა; ამასთანავე, უნდა უზრუნველჰყონ ბაზრებისათვის ამა თუ იმ ხასიათის ადმინისტრირების აცილება.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს— გააძლიეროს ხელმძღვანელობის გაწევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და საკოლმეურნეო სისტემის მუშაობისათვის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში, განსაკუთრებით ა/კსფსრ სამრეწველო ცენტრებში.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას და ზღვის ტრანსპორტის სამმართველოს—უზრუნველჰყონ:

ა) საბჭოთა ბაზრებისა და სოფლისათვის დანიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, სამრეწველო საქონლისა და ფართო მოხმარების საქონლის თავის დროზე მიღება და გადაზიდვა;

ბ) ბაქოს, ტფილისისა და ერივანის სადგურებთან სპეციალური საბილეთო სალაროების მოწყობა საბჭოთა ბაზრებზე წამსვლელი კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის;

გ) ბაქოს, ტფილისისა და ერივანის სადგურებზე ჩარდახების მოწყობა იმ კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისათვის, რომელნიც მომსახურეობას უწევენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით გამვლელ მატარებლებს.

4. ა/კსფსრ სამრეწველო ცენტრების ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანის გაძლიერების მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაამუშაონ უმოკლეს ვადაზე საკითხი ცალკეული დიდრონი კოლექტიური მეურნეობისა და კოლექტიური მეურნეობების შენაერთების „სოიუზპლოდოვოშჩ"-ის რესპუბლიკანური კონტრების საპირველადო გადამმუშავებელ პუნქტებზე მიმაგრების შესახებ ისეთი ვარაუდით, რომ აღნიშნული პუნქტები 1933 წლის იანვრის 1-თვის გადაეცეს ძირითადად დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებსა და კოლექტიური მეურნეობების შენაერთებს.

5. 1932 წლის მოსავლის თავის დროზე და სავსებით აღებისა და ბაზრებში გამოტანის მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს— იხმაროს ღონისძიებანი დიდრონი კოლექტიური მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების შენაერთების ტარათი და სატარეო მასალით უზრუნველსაყოფად.

6. წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას:

ა) სასოფლო სამომხმარებლო ამხანაგობებისა და სახელმწიფო ვაჭრობის დუქნების ქსელის მეშვეობით მიღმეულ პუნქტებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ბაზისზე მოაწყონ ქ. ბაქოს, ტფილისისა და ერივანის საბჭოთა ბაზრებზე აღნიშნული პროდუქტების ფართო ვაჭრობა;

ბ) გააძლიერონ ა/კსფსრ სამრეწველო ცენტრების საბჭოთა ბაზრებზე შემხვედრი ვაჭრობის ორგანიზაცია საკმარისი რაოდენობის საგლეხო ასსორტიმენტის სამრეწველო საქონლისა და წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღის შეზიდვით.

7. აღინიშნოს საკოლმეურნეო კავშირების სუსტი მუშაობა მიღმეული საკოლმეურნეო რესსურსების მობილიზაციის საქმეში და წინადადება მიეცეს ხსენებულ საკოლმეურნეო კავშირებს—შეუდგნენ სადარგო საკოლმეურნეო შენა-

ერთების ვაჭრობის მოწყობას ძირითადად მილმეული პროდუქციის ბაზისზე და თანაც უზრუნველჰყონ ფასების შემცირების მტკიცე ხაზის განხორციელება.

8. წინადადება მიეცეს სამრეწველო საწარმოთა და ქარხნების მუშათა დახურულ კოოპერატივებს, საწარმოსა და ქარხანაში სასურსათო ბაზისის მოწყობასთან ერთად, გაშალონ მუშაობა თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის ფართო მოხმარების საქონლის დამატებით წარმოებისა და სასოფლო სამომხმარებლო ამხანაგობების და საკოლმეურნეო ბაზრების მეშვეობით და აგრეთვე უშუალოდ რეალიზაციის მიზნით; ამასთანავე მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა სარაიონო და სასოფლო ბაზრებზე და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხებისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. აგვისტოს 7.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**165. ა/კსფსრ კომუანლური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის მომარაგების ამიერკავკასიის ორგანოს („კომუნმარაგი") მოწყობის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ა/კსფსრ კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის მომარაგების ორგანოს („კომუნმარაგი"-ს) მოწყობა ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან—სათანადო რესპუბლიკანური „კომუნმარაგებით" ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. აგვისტოს 1.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**166. ხორცის მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ხორცის მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზმიასო"-ს რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) თანამდებობა.

2. დაეკისროს რწმუნებულს:

ა) სადირექტივო-საგეგმო ხელმძღვანელობის და კონტროლის გაწევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოსაწყობი „სოიუზმიასო"-ს სისტემის ტრესტების მოქმედებისათვის;

ბ) ამ ტრესტების საგამსაღებლო ოპერაციების ოპერატიული მოწესრიგება.

3. „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორა რეორგანიზებულ იქნეს ხორცის მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) ამიერკავკასიის კონტორად.

4. მოწყობილ იქნეს „სოიუზმიასო"-ს სისტემის მძღვანებელი კომბინატების ბაზისზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საკავშირო მნიშვნელობის ხორცის მრეწველობის ტრესტები, მათთვის „სოიუზმიასო"-ს სათანადო რესპუბლიკანური კონტორების აქტივისა და პასსივის გადაცემით.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს მოსაწყობი ტრესტების ძირითადი კაპიტალები.

6. მოწყობილ იქნეს ტრესტებთან დამოუკიდებელი სამეურნეო ანგარიშიანი „ხორცგამსაღებელი" კონტორები—მათ სათავეში მმართველთა დანიშვნით.

*ხორცგამსაღებელი" კონტორების მმართველნი ამავე დროს მოადგილენი არიან სათანადო ტრესტების მმართველებისა.

7. წინადადება მიეცეს ხორცის მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთის რწმუნებულს—მოსაწყობი ტრესტების აპარატების დაკომპლექტებისათვის გამოიყენოს „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის და რესპუბლიკანური კონტორების მომუშავენი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. აგვისტოს 1.
ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**167. „ა/კსფსრ-ში 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილების მე-2 მუხლის იმ ნაწილისა, რომელიც თხისა და ცხვრის შემოსავლიანობის განსაზღვრას ეხება, და მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტისა და ამ პუნქტის შენიშვნის შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 20-ის დადგენილების შესაცვლელად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თხისა და ცხვრის შემოსავლიანობა განისაზღვროს 1 მან. და 50 კაპ. რაოდენობით (3 მან. ნაცვლად).

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმავე, 1932 წ. მაისის 20-ის, დადგენილების მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტი და ამ პუნქტის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(18. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ითვლება და ინდივიდუალური წესით იბეგრება, უკეთუ მას აქვს ერთ-ერთი შემდეგი ნიშანი:....)

„ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს წისქვილი, კარაქის სადღვები ან ზეთის სახდელი ქარხანა, ბურღულისა და ფეტვის საცეხვი საწარმო, ბოჭკოს და მატყლის საჩეჩი ან საპენტი საწარმო, სასრესი ქარხანა, კარტოფილის საწარმო, ხილის ან ბოსტნეულის სახმობი საწარმო, სანაყავი საწარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა სამრეწველო საწარმო და უკეთუ ყველა ამ საწარმოში გამოიყენება მექანიკური ძრავი; უკეთუ მეურნეობას აქვს ასეთი საწარმო, რომელიც მოქმედობს ქარისა და წყლის ძალის გამოყენებით და თანაც, უკეთუ ამ საწარმოს შემოსავალი აღემატება წელიწადში 150 მან., ხოლო წისქვილი,—როდესაც მეურნეობას აქვს 500 მან. მეტი საერთო შემოსავალი და ამ წისქვილის შემოსავალი აღემატება 200 მან. წელიწადში.

**შენიშვნა.** უკეთუ წყლის ან ქარის ძალით მომქმედი საწარმო ეკუთვნის რამდენსამე თანამფლობელს, ინდივიდუალური წესით, თუ სხვა რამ ნიშნები არ არის, დაიბეგრება მათ შორის მხოლოდ ის, ვისი შემოსავალიც ამ საწარმოს იმ ნაწილისა, რაც მას ეკუთვნის, აღემატება: თუ წისქვილია—200 მან. წელიწადში, როდესაც მეურნეობის საერთო წლიური შემოსავალი 500 მან. მეტია, ხოლო თუ სხვა საწარმოა—150 მან. წელიწადში“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი**

1932 წ. აგვისტოს 17.
№ 492.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 196 №-ში 1932 წ. აგვისტოს 23-ს.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**168. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს შორის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 3-ის დადგენილების შესაბამისად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-16 №-ი, მუხ. 788) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

I. 1) მე-III კარის „გ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„გ) განიხილოს ა/კსფსრ წლიური ბიუჯეტის პროექტი და სათანადო მოხსენება წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს; აგრეთვე განიხილოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტები. ა/კსფსრ ფინანსთა სხაალხო კომისარიატი და რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატები შეადგენენ საფინანსო გეგმებს ტერიტორიალური ხაზით, რათა რესპუბლიკანურმა სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა შეადგინონ სახალხო-სამეურნეო გეგმები ერთიანი ტერიტორიალური ხაზით“.

2) იმავე კარის „ე“ პუნქტი ამოშლილ იქნეს.

3) იმავე კარის „ვ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შეიმუშაოს და განიხილოს ა/კსფსრ დარაიონების საკითხი; ხელმძღვანელობა გაუწიოს ქვედა ერთეულების დაგეგმვას და გასცეს საამისო დირექტივები“;

4) მე-III კარს დაემატოს „ნ“, „ო“ და „პ“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

„ნ) განახორციელოს სამეთოდოლოგიო და სადირექტივო ხელმძღვანელობა სახალხო-სამეურნეო გეგმების მსვლელობისა და დამუშავების სფეროში;

ო) შეადგინოს ა/კსფსრ ჯუმლობითი სახალხო-სამეურნეო გეგმა;

პ) შეიმუშაოს ფედერატიული მნიშვნელობის სახალხო მეურნეობის საკომპლექსო პრობლემები“.

II. მე-III კარის შემდეგ დაემატოს მე-IV კარი შემდეგი პუნქტებით (შემდგომი კარები სათანადოდ გადარქმეულ იქნეს):

„ა) აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას რესპუბლიკების ჯუმლობითი სახალხო-სამეურნეო გეგმები ყველა დარგისათვის, იმისდამიუხედავად, ვის ექვემდებარება დასაგეგმი ორგანო;

ბ) ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია განიხილავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯუმლობითს სახალხო-სამეურნეო გეგმებს რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან ერთად“.

III. მე-III კარს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

„**შენიშვნა.** რესპუბლიკანური მნიშვნელობის ცალკეული საკითხების და პრობლემების განხილვისათვის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ხელთ უნდა ჰქონდეს რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიების დასკვნები; ხოლო დადგენილ ვადაზე დასკვნების მიუღებლობა ვერ შეაჩერებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ამ საკითხების შემდგომ დამუშავებას სათანადო უმაღლეს ინსტანციებში წარსადგენად“.

IV. შე-IX კარის (წინად მე-VIII კარი) მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს თავმჯდომარე შედის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის შედგენილობაში და მოადგილეა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარისა“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახლხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აგვისტოს 25.
ტფილისი.

მთავლიტი 2317. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა დაკვ. 1382 ტირაჟი 1.400